ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 51 (753) | კვირა, 27 ივნისი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

საინფორმაციო ცნობა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საგაზაფხულო თესვის შედეგების, ნათესებს მოვლის, მოსავლის აღებისათვის მზადებისა და 1954 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საკითხი. პლენუმმა ამ საკითხზე მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ი. ა. ბენედიქტოვის, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. პ. პ. ლობანოვის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. ა. ი. კოზლოვის, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. ტ. ა. იურკინის და სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრის ამხ. ლ. რ. კორნიეცის მოხსენებანი და მიიღო სათანადო დადგენილება.

არდადეგების დღეებში

საშუალო სკოლებში დამთავრდა, უმაღლეს სასწავლებლებში კი კვლავ გრძელდება გამოცდები — მთელი წლის ბეჯითი სწავლის შეჯამების პერიოდი. კიდევ რამდენიმე დღე და სტუდენტებსაც დაეწყებათ არდადეგები. ისინი დროებით დატოვებენ მშობლიურ სასწავლებლებს, უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებს — მიაშურებენ საკუთარ სოფლებს, დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს; მონაწილეობას მიიღებენ ტურისტულ ლაშქრობაში, ალპინისტურ ექსპედიციაში; საწვრთნელ შეკრებათა შემდეგ გამოვლენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში, სტუდენტთა საკავშირო პირველობებში.

არდადეგების დაწყებასთან დაკავშირებით სპორტსმენ მოსწავლეთა და სტუდენტთა ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ საპატიო საქმეს, რაც უნდა გააკეთონ არდადეგებზე სოფლებში მიმავალმა ახალგაზრდებმა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას. სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში გაშლილია შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის მისაღწევად. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო მარცვლეულის აღება, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თივისა და სილოსის დამზადება. დგება მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეები.

ყოველმა მოსწავლემ და სტუდენტმა, რომელიც თავის სოფელში დასასვენებლად ჩავა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საკოლმეურნეო სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დაეხმაროს კოლმეურნეობის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში.

სოფლად დასასვენებლად ჩასული სპორტსმენების წინაშე დგას მეორე, ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა: გამოაცოცხლონ საკოლმეურნეო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა, დაეხმარონ მათ სექციური მუშაობის გაშლაში, თვითონ იკისრონ რომელიმე სექციის ხელმძღვანელობა, მოაწყონ სანიმუშო მეცადინეობანი, მხარში ამოუდგნენ სხვა სექციების ხელმძღვანელებს. როდესაც მათზე მომაგრებული სექციები რეგულარულ მეცადინეობას დაიწყებენ და სანიმუშონი გახდებიან, მაშინ სხვებიც მიბაძავენ მათ და სოფლად გაიშლება ხალისიანი ფიზკულტურული საქმიანობა.

გუნდების სათანადო მომზადების შემდეგ საჭიროა მოვაწყოთ შეჯიბრებები მეზობელი სოფლების ფიზკულტურელებთან. ამ დღისათვის საგანგებოდ უნდა მომზადდეს სპორტული ბაზა: წინასწარ გამოიკრას კარგად გაფორმებული აფიშები, რომლებშიც ზუსტად და საქმის ცოდნით იქნება აღნიშნული შეჯიბრების შინაარსი, მონაწილენი, დრო და ადგილი. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ შეჯიბრების საყურებლად მოსულმა კოლმეურნემ აქტიურად დაისვენოს, გაერთოს, დატკბეს თანასოფლელების ასპარეზობით.

ქუთაისის რაიონის სოფელ კვახჭირის ახალგაზრდები რედაქციისადმი გამოგზავნილ კორესპონდენციაში იტყობინებიან, რომ იქ სპორტული ბაზები მოუვლელია, ადგილობრივი ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები ფიზკულტურული მუშაობის გაშლის საქმეს ზერელედ უყურებენ. ასეთ ფაქტებს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. კომკავშირული ორგანიზაციის საერთო კრების საქმიანი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ფიზკულტურისა და სპორტის გაშლის, ბაზების მოწყობის საკითხები. შემდეგ კი უნდა ვიზრუნოთ კრების მიერ მიღებული დადგენილების განუხრელ შესრულებაზე.

ამას გარდა ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარი სპორტული ფორმის შენარჩუნებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სისტემატურად, ზომიერად ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობა ორგანიზმს კი არ გადაღლის, არამედ უფრო გამოაწრთობს, იგი აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალებაა. მისასალმებელი იქნება თუ ჩავატარებთ ველო და ტურისტულ ლაშქრობებს. მოსწავლეებმა უნდა ითავონ მშობლიური მხარის შესასწავლად მოგზაურობათა მოწყობა.

წმინდა სპორტული მუშაობის გარდა ძირეულ კოლექტივს უნდა დავეხმაროთ ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის მოგვარებაში. შეჯიბრების ოქმების, სექციების სიების, ნიშნოსანთა ნორმების ჩაბარების ოქმების გაფორმებაში, სპორტული კედლის გაზეთის გამოშვებაში. როგორც ვხედავთ, სოფლად დასასვენებლად მიმავალ მოსწავლეებსა და სტუდენტებს მეტად საპატიო ამოცანის შესრულება ეკისრებათ.

არდადეგების დღეები ნაყოფიერ საქმიანობაში გავატაროთ, აღვიდგინოთ დახარჯული ენერგია, დავეხმაროთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, შევინარჩუნოთ საკუთარი სპორტული ფორმა და ვიბრძოლოთ სპორტული მონაცემების შემდგომი განუხრელი ზრდისათვის, — ასეთია მოწინავე სპორტსმენთა ძირითადი ამოცანა ზაფხულის პერიოდში.



საქართველოს კავშირგაბმულობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკის პიონერები ნაყოფიერ დასვენებასთან ერთად ჩაბმული არიან სხვადასხვა სპორტულ სექციებში. ახლა ისინი ემზადებიან საბანაკო სპარტაკიადისათვის.
სურათზე: ზ. თევზაძე და ლ. ლეკვიაშვილი (წინა პლანზე) არჩევენ საინტერესო საჭადრაკო პარტიას.
ფოტო გ. ქიმერიძისა.

საერთაშორისო შეხვედრები

სროლა

პოლონეთში დაბა რემბერტოვოში ჩატარდა შეჯიბრება სროლაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტსმენები.

პისტოლეტიდან სროლაში პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა მსროლელებმა, რომელთაც 3.000 შესაძლებლიდან დააგროვეს 2.341 ქულა. 2.175 ქულით ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები გამოვიდნენ მეორე ადგილზე. მესამე ადგილზეა პოლონეთის გუნდი.

სასწავლო სპორტული კარაბინიდან სროლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. გაიმარჯვეს პოლონელებმა.

მძლეოსნობა

ვარშავაში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში სსრ კავშირის, ბულგარეთის, ბელგიის, დანიის, უნგრეთის, პოლონეთის, ფინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეციისა და ლუქსემბურგის სპორტსმენთა მონაწილეობით.

ქალთა შორის რბენაში 100 და 200 მეტრზე გამარჯვება მოიპოვა კრეპკინამ (სსრ კავშირი), ხოლო 400 მეტრზე—პირველ ადგილებზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ოტკალენკო და ჩერნოშჩეკი. ოტკალენკომ გარდა ამისა მოიგო რბენა 800 მეტრზე. თავისი საკავშირო და ევროპის რეკორდი თარჯრბენში 80 მეტრზე გაიმეორა მ. გოლუბნიჩაიამ, რომელმაც აჩვენა 11,0. ეს შედეგი მიმდინარე სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში.

ვაჟთა რბენაში 100 მეტრზე საუკეთესონი იყვნენ პოლონელი სპორტსმენები შმიტდი, კიშკა და სტავჩიკი. სსრ კავშირის ჩემპიონმა იგნატიევმა რბენაში 400 მეტრზე აჩვენა სეზონში საუკეთესო შედეგი ევროპაში — 47,3.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ გაიმარჯვა სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში და შუბის ტყორცნაში. საბჭოთა მძლეოსანმა ვ. კუცმა მოიგო რბენა 5.000 მეტრზე. ბირთვის კვრაში საუკეთესო შედეგი აჩვენა გ. ზიბინამ.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები.

ველოსპორტი

ტულა. (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და რუმინეთის ველოსიპედისტთა მონაწილეობით, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა შორის.

რ. ვარგაშკინი

ადგილიდან რბოლაში ერთ კილომეტრზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა მოსკოველმა ოსტატმა როსტისლავ ვარგაშკინმა. მან გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი და აჩვენა 1 წუთი 10,2 წამი. ერთნაირი შედეგი 1:13,8 აჩვენეს საბჭოთა სპორტსმენებმა ა. ლომონოსოვმა და ლ. ხმელმა. მეოთხე ადგილზეა პოლონელი ველოსიპედისტი ი. გიუნდმანი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე, რომლის ფინალშიც გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა ვ. ბახვალოვის, ვ. ფედინის, ვ. მეშკოვისა და ო. ბორისოვის შემადგენლობით. მათ დაამყარეს ახალი საკავშირო რეკორდი — 4:49,6.

შეჯიბრების დასასრულს გაიმართა რბოლა 60 წრეზე 10 ფინიშით. პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა ველოსიპედისტმა ა. კასატკინმა, რომელმაც 7 პირველი ადგილი მოიპოვა.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტები (51 ქულა). მეორე ადგილზეა პოლონეთის გუნდი — 102 ქულა, მესამეზე — რუმინეთის კოლექტივი — 114 ქულა.

ტულის მშრომელთა თხოვნით საერთაშორისო შეჯიბრება გაგრძელებულ იქნა ერთი დღით. რ. ვარგაშკინმა ამ დღეს აჩვენა ბრწყინვალე შედეგი. 200 მეტრი სვლით მან გაიარა შესანიშნავ დროში — 11,3 წამი. ეს ახალი საკავშირო რეკორდია.

ახალგაზრდობის საქალაქო საზაფხულო სპორტული ასპარეზობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოაწყოს ქალაქებში ახალგაზრდობის საზაფხულო სპორტული ასპარეზობა. ასპარეზობა ჩატარდება ყოველ წელიწადს 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე.

ეს სპორტული შეჯიბრება ხორციელდება ეტაპებით ჯერ საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, შემდეგ რაიონებში ნაკრებ გუნდებს შორის და ფინალში რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის, ხოლო ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა არა აქვთ, საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა უძლიერეს გუნდებს შორის. სპორტული ასპარეზობის მოსამზადებლად და განსახორციელებლად იქმნება საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტები.

ასპარეზობის პროგრამაში შეტანილია შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვასა და წყალში ხტომაში, ხალხურ ნიჩბოსნობაში, სროლასა და ველოსპორტში, წყალბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

მონაწილეებს, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ პირადი პირველობის გათამაშებაში ენიჭებათ ახალგაზრდობის სპორტული ასპარეზობის ჩემპიონის წოდება და ეძლევათ დიპლომი.

ფიზკულტურელებს, რომლებიც ერთ-ერთი სახეობის ფინალურ შეჯიბრებაში პირველი თანრიგის ნორმატივებს შეასრულებენ, ჯილდოდ ეძლევათ კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტების ან მოკავშირე რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და მათ შესახებ ცნობა გამოქვეყნდება საოლქო, რესპუბლიკურ კომკავშირულ გაზეთებში.

სპორტსმენებს, რომლებიც შეასრულებენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივებს, ჯილდოდ ეძლევათ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი და მათ შესახებ ცნობა გამოქვეყნდება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში".

ახალგაზრდობის საქალაქო სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდებისათვის წესდება გარდამავალი პრიზები.

★

თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ტექნიკუმში წარმატებით მიმდინარეობს ხაზაფხულო გამოცდები. მრავალი სტუდენტი ამჟღავნებს მაღალ ცოდნას.

ს უ რ ა თ ზ ე: მესამეკურსელი ტანმოვარჯიშე **ტ. ჩუტლაშვილი** ისტორიის გამოცდაზე.

ფოტო ხ. ონანოვისა

★

რა უნდა ვიცოდეთ ორგანიზმის გამოწრთობისათვის

დიდი რუსი ფიზიოლოგების ი. სეჩენოვის, ი. პავლოვის, აკადემიკოს კ. ბიკოვის შრომებიდან ცნობილია, რომ ორგანიზმს აქვს გარემოს მიმართ უდიდესი შეგუების ანუ ადაპტაციის უნარი, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის საშუალებით ხორციელდება. მათ დაამტკიცეს, რომ ყველა ფიზიოლოგიური პროცესის წარმართვაში და აგრეთვე ორგანიზმის გარემოსთან კონტაქტის დამყარებაში რეგულატორული მოქმედება ნერვულ სისტემაში თავის ტვინის ქერქს ენიჭება.

გამოწრთობის მიზანია გამოსაწრთობი საშუალებების (მზის, ჰაერის, წყლის) სისტემატური, გეგმაზომიერი და ხანგრძლივი გამოყენებით ადამიანს გამოუმუშაოს გარემო ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობისადმი შეგუებისა და ამტანობის უნარი.

ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის საჭიროა, რომ მისი სხეულის ტემპერატურა 36-37 გრადუსს უდრიდეს. ასეთი ტემპერატურის მუდმივობა უზრუნველყოფილია ქსოვილებში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზმის მიერ გამომუშავდება სითბოს მეტი რაოდენობა, ვიდრე ეს საჭიროა სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნებისათვის. მაგალითად, ორგანიზმში რომ დარჩეს დღე-ღამის განმავლობაში გამოყოფილი სითბოს ის რაოდენობა, რომელიც მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის დროს გამოიყოფა — სხეულის ტემპერატურა 60 გრადუსს მიაღწევდა. მაგრამ ეს არ ხდება იმიტომ, რომ ორგანიზმი ახერხებს სითბო-სიცივის პროცესების რეგულაციას.

გარემო ტემპერატურა, განსაკუთრებით წლის სხვადასხვა დროს, ცვალებადობას განიცდის, რაც უდავოდ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. სითბოს რეგულირება ერთ შემთხვევაში ხდება ტანისამოსისა და საცხოვრებელი ბინის, ხოლო მეორეს მხრივ, ორგანიზმის სითბოს თვითრეგულირების საშუალებით.

როცა გარემოში ტემპერატურა მომატებულია, სითბოს მოქმედებით ხდება კანის, სისხლის ძარღვების გაფართოება და შინაგანი ორგანოებიდან სისხლის გადანაცვლება პერიფერიისაკენ ანუ კანში. ჭარბი სისხლის მოწოლის შედეგად კანი წითლდება, იქ არსებული საოფლე ჯირკვლები იწყებენ გაძლიერებულ მოქმედებას, რის გამოც ხდება ორგანიზმის მიერ ზედმეტი სითბოს გაცემა, ეს კი მას იცავს გადახურებისაგან.

სიცივეში პირიქით ხდება — კანის სისხლის ძარღვების შევიწროება და სისხლის გადასვლა კანიდან შინაგან ორგანოებში. ამ პროცესს თან ერთვის ბიოქიმიური პროცესების გამოცოცხლება, სითბოს წარმოშობის გაძლიერება და ორგანიზმის დაცვა გადაცივებისაგან.

ამგვარად, გამოწრთობის საშუალებათა ხანგრძლივი მოქმედების შედეგად იცვლება, ე. ი. ქვეითდება მათ მიმართ ნერვული სისტემის აღგზნება, ხოლო ყველაფერი ეს საბოლოო ჯამში იძლევა ორგანიზმის გამოწრთობას.

გამოწრთობილი ორგანიზმი საუკეთესოდ ეგუება, როგორც დიდ სიცივეს, ისე ტროპიკულ სიცხეს. გამოუწრთობი სხეული კი ამის უნარს მოკლებულია.

იმისათვის, რომ გამოწრთობის პროცედურა მიზანშეწონილად ჩავატაროთ, უნდა დავიცვათ სამი ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს გამოწრთობის დაწყებას თანდათანობით, თანმიმდევრობით და სისტემატურად. ფიზიკურად სუსტად განვითარებული ადამიანი გამოწრთობის დაწყების წინ აუცილებლად უნდა გაესინჯოს ექიმს და მიიღოს მისგან სათანადო რჩევა-დარიგება. გამოწრთობის დასაწყისში პროცედურის ხანგრძლივობა საჭიროა გავზარდოთ თანდათან, მკვეთრი გადასვლა მაღალი ტემპერატურიდან დაბალზე უარყოფით გავლენას ახდენს. საქართველოს პირობებში საუკეთესო თვეებად ითვლება ივნისი, ივლისი და აგვისტო.

გამოწრთობის საშუალებებს მიეკუთვნება მზე, ჰაერი და წყალი. ეს ბუნებრივი ფაქტორები თავისებურად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, ამიტომ მათი სარგებლობისათვის აუცილებელია სათანადო წესების დაცვა.

ჰაერით გამოწრთობა. ჰაერის აბაზანა მიიღება ნაწევრად ან მთლიანად შიშველ ტანზე. ამ პროცედურის ჩატარების დროს ადგილმდებარეობა დაცული უნდა იყოს გამჭოლი ქარისაგან. ჰაერის შეხება კანის ზედაპირზე იწვევს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას, ნერვული სისტემის გამაგრებას და თერმორეგულაციის აპარატის გავარჯიშებას.

ყველაზე კარგად ჰაერის აბაზანა ორგანიზმზე მოქმედებს დილისა და საღამოს საათებში. მოზრდილებმა ეს პროცედურა უნდა ჩაატარონ დილის 8-დან 9 საათამდე და საღამოს 17-დან 19 საათამდე. ამ საათებში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 18-20 გრადუსს უნდა უდრიდეს. იმ პირებს, რომლებიც უკვე ნავარჯიშები არიან, შეუძლიათ ჰაერის აბაზანა უფრო დაბალი ტემპერატურის დროსაც მიიღონ. დასაწყისში სხეულის ჰაერაცია არ უნდა გრძელდებოდეს 10-15 წუთზე მეტს, შემდგომში კი ყოველდღიურად 5-10 წუთის მომატებით ჰაერით გამოწრთობის დრო შეიძლება ავიყვანოთ 60-90 წუთამდე. ბავშვთათვის ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს ჰაერის 18-20 გრადუსის ტემპერატურაზე. პირველ დღეს 7 წუთის განმავლობაში, შემდეგ — 3-5 წუთის მომატებით. ჰაერის აბაზანის ხანგრძლივობა შეიძლება გავზარდოთ 1 საათამდე.

მზით გამოწრთობა. მზით დასხივებაც შიშველ ტანზე ხდება. მზის სხივების მოქმედება ხელს უწყობს ორგანიზმში დაჟანგვითი პროცესების გააქტივებას, ბაქტერიების ცხოველმოქმედების დასუსტებას, სისხლის წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის მომატებას, სუნთქვის გაღრმავებას, გულის მოქმედებისა და ჩონჩხის კუნთების ტონუსის გაძლიერებას. მზის სხივებით გამოწრთობის დაწყების წინ უმჯობესია სხეული შევაჩვიოთ ჰაერის მოქმედებას, რისთვისაც უნდა ჩავატაროთ ჰაერ-სინათლის აბაზანის პროცედურები. მზის აბაზანების მიღებისათვის საუკეთესო დროა დილის 8-12 საათი და საღამოს 17-19 საათი. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სხეულზე ეცემა ულტრაიისფერი სხივები, რომლებიც ორგანიზმში დადებით რეაქციებს იწვევენ. შუადღის მზის სხივებში ჭარბობს ინფრაწითელი სხივები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ და ამიტომ ამ საათებში მზის აბაზანების მიღება არაა რეკომენდებული. მოზარდებმა ეს პროცედურა პირველ დღეს 5 წუთის განმავლობაში უნდა მიიღონ, შემდეგ ყოველდღიურად შესაძლებელია 3-5 წუთის მომატება ისე, რომ მზის აბაზანის ხანგრძლივობა ჯანმრთელი ადამიანისათვის 1-1,5 საათით განისაზღვროს. მზეზე 1,5 საათზე მეტი არ უნდა გავჩერდეთ, რადგან შესაძლებელია ორგანიზმმა გადახურება განიცადოს, რაც თავის მხრივ ნერვული და გულის სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის დარღვევას იწვევს. ხანგრძლივად მზეზე გაჩერებას ხშირად თან ერთვის საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, არასასიამოვნო შეგრძნებები გულის არეში და სხვ. ბავშვებმა მზის აბაზანით სარგებლობის დროს პროცედურის მიღება უნდა დაიწყონ მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა არანაკლებ 20-30 გრადუსია. პირველ დღეს აბაზანის ხანგრძლივობა უნდა უდრიდეს 3-5 წუთს, შემდეგ კი 2-3 წუთის მომატებით შესაძლებელია ერთ საათამდე ავიდეს.

წყლით გამოწრთობა. გამოწრთობის ამ საშუალების პროცედურებს ეკუთვნის წყლის გადავლება, სხეულის დაზელვა და ბანაობა. ჰაერთან და მზესთან შედარებით წყალს ის უპირატესობა აქვს, რომ ადამიანს ადვილად შეუძლია მოახდინოს როგორც მისი ტემპერატურის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის დოზირება. ამიტომ წყალი გამოწრთობის საუკეთესო საშუალებად ითვლება და მისი გამოყენება შესაძლებელია წლის ყოველ დროს. გამოწრთობის დაწყება ერთბაშად ცივი წყლით არ შეიძლება, რადგან გაღიზიანება, რომელსაც ამ დროს მივიღებთ, მეტად ძლიერია და ზიანის მომტანია.

გადავლება და ტანის დაზელვა უნდა დავიწყოთ ოთახის ტემპერატურის წყლით. უმჯობესია დასაწყისში წყლის ტემპერატურა 20-24 გრადუსს უდრიდეს, შემდეგ შეიძლება იგი თანდათანობით დავიყვანოთ ოთახის ტემპერატურაზე დაბლა. წყლის გადავლება და ტანის დაზელვა მოსამზადებელ საფეხურად ითვლება წყალში ბანაობისათვის. ამიტომ ზღვაზე ჩასულმა დამსვენებელმა პირველ 3-5 დღის განმავლობაში უმჯობესია ორგანიზმი შეაჩვიოს ზღვის წყლის მოქმედებას, რისთვისაც რეკომენდებულია ბანაობის დაწყებამდე ზემოაღნიშნული პროცედურების ჩატარება.

ზღვაში ბანაობას წინ უნდა უსწრებდეს 5 წუთიანი მზის აბაზანის მიღება და შემდეგ ჩრდილში დასვენება. წყალში ბანაობა და წყლით დაზელვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაოფლიანებულ სხეულზე. ბანაობის დროს წყლისა და ჰაერის ტემპერატურა დასაწყისში 18-20 გრადუსს უნდა უდრიდეს. ორგანიზმის თანდათან გამოწრთობასა და გავარჯიშებასთან ერთად შესაძლებელია უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში ბანაობა.

ყველა ამ გამოწრთობის საშუალებებით სარგებლობის დროს, გარდა ზემოაღნიშნული მეთოდური მითითებებისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ ერთი, გამოწრთობა შეხამებული უნდა იქნას ფიზიკურ ვარჯიშთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ორგანიზმის ცალმხრივ განვითარებას. გარდა ამისა, გამოწრთობის შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი რეაქციით არ უპასუხებს მზის, ჰაერისა და წყლის ტემპერატურის მოქმედებას, ამიტომ მუდამ უნდა დავიცვათ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი.

ქ. არობელიძე,
რ. ხვანიშვილი.

ტანვარჯიშული ჯგუფები ბანაკებში

პიონერთა ბანაკებში ყოველწლიურად უფრო და უფრო ორგანიზებულ სახეს იღებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. ყალიბდება სექციები და გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები და ა. შ. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ პიონერთა ბანაკებში ფიზკულტურულ მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ძირითადად ეს მდგომარეობს იმაში, რომ სპორტული სექციებისა და გუნდების წვრთნა არ არის ორგანიზებული. მათში გაერთიანებული მოსწავლეები არ გადიან სპეციალურ მეცადინეობას სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც ის იყო ჩაბმული საშუალო სკოლაში, ან სპორტულ სკოლაში. პიონერთა ბანაკებში ძირითადად იქმნება გუნდები სპორტულ თამაშობაში. სპორტის სხვა სახეობებში მეცადინეობა (მაგ. ტანვარჯიში, მძლეოსნობა) არ ხერხდება სპორტული ინვენტარის ნაკლებობის გამო.

ზაფხულის პერიოდში სპეციალური წვრთნის გარეშე დარჩენილი მოსწავლე გამოდის სპორტული ფორმიდან და შემდეგ დაძაბული მუშაობაა საჭირო, რომ იგი თავის წინანდელ სპორტულ დონეს დაუბრუნდეს. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტთან ერთად რესპუბლიკის სხვადასხვა პიონერთა ბანაკებში შექმნა ტანვარჯიშული ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან ქალაქის სკოლების მოწინავე ტანმოვარჯიშე მოსწავლე-თანრიგოსნები. სულ შექმნილია 20-მდე ჯგუფი 200-ზე მეტი მოსწავლით. ჯგუფებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩასატარებლად მივლინებულ იქნენ მოწინავე მასწავლებლები, მწვრთნელები.

ტანვარჯიშული ჯგუფები ჩამოყალიბდა დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირების წყნეთის (მწვრთნელი [illegible]), კულტურის მუშაკთა [illegible] (მწვრთნელი კაკაშვილი), ფართო მოხმარების მრეწველობის მუშაკთა ფოლადაურის (მწვრთნელები — ზურაბოვი, კილაძე), მედიცინის მუშაკთა ახალდაბის (მწვრთნელები პაპაშვილი, აფრიდონიძე) და სხვა პროფკავშირების რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკებში. აღნიშნული ჯგუფები უკვე შეუდგნენ სათანადო საწვრთნელ მუშაობას საერთო საკავშირო საკლასიფიკაციო ნორმატივების მიხედვით. ტანვარჯიშული ჯგუფების დაკომპლექტების საქმეში კარგად იმუშავეს ზემოჩამოთვლილი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა.

ტანვარჯიშული ჯგუფების ძირითადი მიზანია განამტკიცოს საშუალო სკოლებსა და სპორტულ სკოლებში მიღებული ჩვევები, მოამზადონ პიონერები უფრო მაღალი სპორტული თანრიგისათვის. ამავე დროს ეს ჯგუფები მიზნად ისახავენ ბავშვთა შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტელი საწვრთნელი მუშაობის ჩატარებას.

პიონერთა ბანაკებში შექმნილი ტანვარჯიშული ჯგუფები ჩამოყალიბებულია ასაკის, სქესისა და ფიზიკური მომზადების მიხედვით. თითოეული ჯგუფის მეცადინეობა უნდა შეესაბამებოდეს პიონერთა ბანაკების დღის რეჟიმს და არ უნდა აღემატებოდეს საათნახევარს დღეში, კვირაში სამჯერადი მეცადინეობით. ბანაკის ხელმძღვანელობამ და მწვრთნელმა, ჯგუფებმა სამეცადინო ადგილი უნდა უზრუნველყონ სათანადო სპორტული მოედნით და ინვენტარით. ბანაკებში, სადაც შექმნილია ტანვარჯიშული ჯგუფები, მათში გაერთიანებული პიონერები სათანადო პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების დახმარებით დარჩებიან ორივე ნაკადში, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

დ. კინწურაშვილი

ფრენბურთის სექციის საკავშირო პლენუმი

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა ფრენბურთის სექციის საკავშირო პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. პლენუმზე მოსკოვსა და ლენინგრადში წამყვან ფრენბურთელთა დაოსტატების მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფრენბურთის საკავშირო სექციის თავმჯდომარე სავინი, რომელმაც აღნიშნა, რომ ისეთი კარგი ტრადიციების ქალაქებში, როგორიცაა მოსკოვი და ლენინგრადი ნელი ტემპით მიმდინარეობს, როგორც წამყვან, აგრეთვე ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობა. არ ტარდება სისტემატური საწვრთნელი ვარჯიშები უმცროსი ასაკის ბავშვებთან, ხოლო მოზრდილებთან მეცადინეობა კვირაში ორჯერ ეწყობა.

ლენინგრადის წარმომადგენელმა მიხეევმა ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გააჩნიათ ლენინგრადელ ფრენბურთელებს უკანასკნელი წლების მანძილზე. ამაში მან ბრალი დასდო ფრენბურთის საქალაქო სექციასა და მის აქტივს, რომლებიც სუსტად იბრძვიან ახალი, ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისათვის. მიხეევმა აღნიშნა, რომ ერთ დროს ლენინგრადის უძლიერესი გუნდები უკანასკნელი წლების მანძილზე არასასურველი შედეგებით გამოდიან საკავშირო პირველობებზე.

კამათში მონაწილე ამხანაგებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს მსაჯობის საკითხზე, რომელიც დღემდე დაბალ დონეზე დგას, ვერ აკმაყოფილებს ფრენბურთელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. პლენუმის წევრებმა გააკრიტიკეს საკავშირო სექციის მუშაობა, რომელიც ჯეროვან დახმარებას ვერ უწევს რესპუბლიკებისა და ქალაქების მწვრთნელებსა და ფრენბურთელებს. იგი ნაკლებადაა დაინტერესებული წამყვანი და ახალგაზრდა მწვრთნელების მუშაობით, სჯერდება მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრებისათვის უძლიერეს ფრენბურთელთა შერჩევას.

მუშაობის გარდაქმნისათვის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, აირჩია საკავშირო სექცია და პრეზიდიუმი.

ბ. ანდრონიკაშვილი,
სპორტის ოსტატი.

სად დაიკარგა ინვენტარი?

ნაყოფიერად მუშაობს სოხუმის საორთქლმავლო დეპოს ფიზკულტურული კოლექტივი. აქ სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, კარგად არის დაყენებული სექციური მუშაობა. ასევე ითქმის ოჩამჩირის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის შესახებაც. ოჩამჩირის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები ერთ-ერთი მოწინავეთაგანი არიან აფხაზეთში.

ასე როდი ითქმის „ლოკომოტივის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს ყველა ძირეული კოლექტივის მუშაობის შესახებ. ბევრგან ძირეული საბჭო დღემდე არ შეუქმნიათ ან ჩაშლილია მუშაობა.

სოხუმის სავაგონო დეპოსა და რკინიგზის სადგურში ძირეული საბჭოები ფორმალურად არსებობენ, არ მუშაობს სექციები, ნაკლებად ზრუნავენ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებისათვის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ არავითარ კონტროლსა და დახმარებას არ უწევს „ლოკომოტივის" აფხაზეთის საბჭო. საბჭოში იშვიათად იწვევენ პრეზიდიუმის სხდომებს, არ ზრუნავენ სპორტმოედნების მოწყობისა და ფიზკულტურული კოლექტივების ინვენტარით უზრუნველყოფისათვის. გასულ წელს შეძენილი 20 ათასი მანეთის ინვენტარი კი სად დაიკარგა არავინ იცის.

პ. ლეთოდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 27 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	15	7	5	3	23:18	19
„სპარტაკი“ მ.	14	8	2	4	30:15	18
„დინამო“ მ.	14	7	4	3	18:10	18
„შრ. რეზერვები“	16	5	7	4	18:14	17
„სპარტაკი“ მნ.	15	6	5	4	12:11	17
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	18:20	15
ცდსა	13	4	6	3	12:9	14
„კრ. სოვეტოვი“	15	6	2	7	11:14	14
„ტორპედო“ მ.	13	5	3	5	19:18	13
„ლოკომოტ.“ მ.	15	3	6	6	7:11	12
„ლოკომოტ.“ ხ.	13	3	4	6	7:17	10
„ზენიტი“	13	2	5	6	12:19	9
„ტორპედო“ გ.	15	1	6	8	10:21	8

„ა“ კლასის ოსტატთა შეხვედრები

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (გორკი)

გუშინ კიევში, ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მატჩი კიევის „დინამოსა“ და გორკის „ტორპედოს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა გორკელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:1.

• • •

„შრ. რეზერვები“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მინსკი)

გუშინ ლენინგრადში ადგილობრივი „შრომითი რეზერვების“ გუნდმა მიიღო მინსკის „სპარტაკი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“ ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრნენ საზღვარგარეთ. „ტორპედო“ ფინეთში შეხვდება ადგილობრივ სამ გუნდს. „სპარტაკი“ სტოკჰოლმში ითამაშებს შვეციის უძლიერეს გუნდებთან „იურგორდენთან“ და „მალმესთან“.

საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 27 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტ.ტ.ს-ი თბ	11	9	1	1	33:9	19
„დინამო“ ბათ.	11	8	1	2	23:9	17
„დინამო“ ქუთ.	11	5	4	2	24:12	14
26 კომ. რ-ნი თბ.	11	7	0	4	19:15	14
„მეტალურგი“ რ.	11	6	1	4	22:13	13
„დინამო“ სოხ.	10	5	3	2	14:12	13
„დინამო“ გორი	11	4	2	5	7:11	10
„სპარტაკი“ ბორ.	9	3	3	3	11:14	9
„კოლმეურნე“ მახ.	10	3	3	4	12:18	9
„ლოკომოტ.“ ხაშ.	10	3	2	5	9:14	8
ფოთი (ნაკრები)	11	3	2	6	7:15	8
„მეფ.“ თბ.	11	2	3	6	11:19	7
„კრ. ზვზ.“ ზუგ.	10	2	3	5	5:11	7
„ნეფტ“. წ. წყ.	11	0	0	11	6:27	0

თბილისის ტრეკზე

◆

დედაქალაქის პირველობა ველოსპორტში

◆

ოთხ დღეს გრძელდებოდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში (ტრეკი). შეჯიბრების პირველ დღეს მოეწყო გიტი 200 მეტრზე. ვაჟთა შორის ეს მანძილი სვლით უკეთეს დროში გაიარა სპარტაკელმა გ. ჯოხაძემ — 12,8. ქალებში უძლიერესი იყო ა. ივანოვა („სპარტაკი“) — 14,5. ქალთა შორის მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერი ველოსიპედისტი მ. დიასამიძე („სპარტაკი“) — 14,9.

სპრინტერულ რბოლაში ერთ კილომეტრზე ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ჯოხაძემ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გ. თელია და ვ. გუნია. ქალების ფინალში მოხვდნენ ივანოვა, დიასამიძე და ხეჩოიანი („ლოკომოტივი“). პირველი ადგილი დაძაბულ ბრძოლაში წილად ხვდა მ. ხეჩოიანს. 1.000 მეტრზე ადგილიდან გიტში პირველობა საშუალო შედეგით კვლავ ჯოხაძემ მოიპოვა — 1:16,7. ქალთა გიტი 500 მეტრზე ადგილიდან მოიგო ივანოვამ — 42,4. მეორე ადგილი მოიპოვა დიასამიძემ.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ შეჯიბრებაში ოთხ კილომეტრზე ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი დაიმსახურა „სპარტაკის“ ველოსიპედისტთა კოლექტივმა—5:18,0. მეორე ადგილზე გამოვიდა „ნაუკა“, მესამეზე — „შახტიორი“. წარმატება ხვდა წილად მ. დიასამიძეს გიტში 200 მეტრზე სვლით. მან მანძილი დაფარა 14,2. ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია, როგორც გოგონათა შორის, ისე მოზრდილებშიც. ადგილიდან 1.000 მეტრზე გიტში რკინიგზელმა ხეჩოიანმა ძველი რესპუბლიკური რეკორდი 1,2 გააუმჯობესა. ამჟამად მისი შედეგია — 1:24,6. გუნდურ რბოლაში ქალთა შორის 3 კილომეტრზე ძლიერი კოლექტივი გამოიყვანა „ლოკომოტივმა“. მან მოიპოვა პირველი ადგილი შედეგით — 4:30,2.

ვაჟთა ინდივიდუალურ რბოლაში ოთხ კილომეტრზე კარგი დრო აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა ჯოხაძემ—5:27,1, მეორე ადგილზე გამოვიდა დინამოელი კ. შენგელია—5:36,3. ქალთა ინდივიდუალური რბოლა 2 კილომეტრზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგო ივანოვამ—2:55,0. უკანასკნელ დღეს გაიმართა გუნდური შეჯიბრება 100 წრეზე, ათი ფინიშით. პირველი ორი ფინიში მოიგო ე. ჯამშელეიშვილმა, მაგრამ შემდგომში გაურკვეველი მიზეზებით იგი რბოლიდან გამოვიდა. პირველი ადგილი ველოსპორტის ამ საინტერესო სახეობაში წილად ხვდა კ. შენგელიას, მეორე ადგილი მოიპოვა „მედიკის“ ველოსიპედისტმა ნოვიკოვმა. უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში 100 წრეზე, მონაწილეობა მიიღო 18 ველოსიპედისტმა, დისტანცია კი დაამთავრა მხოლოდ ხუთმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სპორტსმენები და მათი მწვრთნელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ველოსპორტის ამ სახეობას.

დასასრულს გაიმართა სალიდერო რბოლა 25 კილომეტრზე. აქ პირველი იყო საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონი ხაბურზანია (ლიდერი) და გ. ჯოხაძე (სტაიერი). მათ დისტანცია დაფარეს — 27:00,8.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა „სპარტაკის“ ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ „დინამოს“, ხოლო მესამეზე—„ნაუკის“ წარმომადგენლები.

ა. გუნია,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი

რინგზე დაიწყო ბრძოლა

★

„პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა

★

სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკს“ მუდამ ჰყავდა მოკრივეთა ძლიერი შემადგენლობა. სწორედ ამიტომაა, რომ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება კრივის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. აქ არაერთხელ მაღალი ოსტატობა გამოუმჟღავნებიათ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ა. გრეინერს, ნ. კოროლიოვს, ნ. დარბაისელსა და სხვებს. „პიშჩევიკის“ ორგანიზაციებში აღიზარდნენ არაერთი და ორი ნიჭიერი მოკრივე, რომლებიც შემდეგ წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო პირველობებზე.

25 ივნისს თბილისის სახელმწიფო ცირკში „პიშჩევიკის“ 1954 წლის პირად-გუნდური პირველობა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის იბრძვიან მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, კრასნოდარის, მახაჩყალის, სტავროპოლის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები.

გათამაშების პირველ დღეს გაიმართა რამდენიმე შეხვედრა ყოველ წონითს კატეგორიაში. უმჩატეს წონაში საინტერესო ბრძოლის შემდეგ ჩინჩალაძემ (საქართველო) დაამარცხა სომხეთის წარმომადგენელი გევორქიანი. კარგად გამოდის ამ წონით კატეგორიაში კრასნოდარელი პავლოვი, რომელმაც მოუგო შეხვედრა კურსკელ ნოვიკოვს. საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტია უმძიმეს წონაში თბილისელი ჩიტულიძე. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ერევნის „პიშჩევიკის“ წარმომადგენელი ავაქიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატში თითქმის ყოველი შეხვედრა განსაკუთრებული დაძაბულობით ხასიათდება. ამის მიზეზი გათამაშების სისტემაში მდგომარეობს. მოკრივე ორი წაგების შემთხვევაში გადის შეჯიბრებიდან.

მჩატე წონაში გაიმართა ოთხი შეხვედრა: მანსუროვმა (მახაჩყალა) დაამარცხა აზერბაიჯანელი ზიმინი, პრიხოდკომ (მოსკოვი) — პეტროვი (ლენინგრადი), სარქისიანმა (ერევანი) — ცერკოვნი (კრასნოდარი) და ბორტოკმა (კრასნოდარი) — მარტიროსიანი (ერევანი).

როდესაც რინგზე გამოვიდნენ ქვემსუბუქი წონის მოკრივეები, თბილისელი ბროიანი და მადათოვი (მახაჩყალა), ცხადი გახდა, რომ ბრძოლა მათ შორის საინტერესო უნდა ყოფილიყო. თბილისელი ტექნიკური მოკრივეა, მადათოვი კი დიდი ფიზიკური ძალის მქონე. მახაჩყალელმა მოწინააღმდეგეს ძალოვანი ბრძოლა შესთავაზა. რამდენიმე ძლიერი დარტყმით მან ბროიანი წონასწორობიდან გამოიყვანა. უკანასკნელი უკვე აღარ ფიქრობდა გარკვეული ტაქტიკით მუშაობას. იგი დარტყმაზე დარტყმით პასუხობდა და სპორტული შეჯიბრების ნაცვლად ბრძოლამ ჩხუბის ხასიათი მიიღო. ერთ-ერთი შეტევის დროს ბროიანმა გამოიყენა აკრძალული დარტყმა და მოწინააღმდეგემ ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. სამწუხაროდ ეს ამბავი ვერ შენიშნა მსაჯმა და გამარჯვება თბილისელს მიაკუთვნა. მხოლოდ მთავარი მსაჯის (მ. ბერიევი) ჩარევის შემდეგ ბროიანს სრულიად სამართლიანად წაგება მიესაჯა.

საინტერესო იყო ქვემსუბუქ წონაში სიჩოვის (მოსკოვი) და პობელატის (კრასნოდარი) შეხვედრა. მოსკოველი გამოცდილი მოკრივეა. იგი ცენტრალური საბჭოს გასული წლის ჩემპიონია და მოსკოვის პირველობის პრიზიორი. კრასნოდარელს შეჯიბრებაში მონაწილეობის ერთი წლის სტაჟი აქვს. სიჩოვის ენერგიულ იერიშებსა და ძლიერ დარტყმებს პობელატი შეუპოვარი კონტრიერიშებით პასუხობდა. კრასნოდარელმა, მიუხედავად იმისა, რომ წააგო შეხვედრა, სამივე რაუნდში ძლიერ მეტოქეს ბევრი უსიამოვნება მიაყენა.

მსუბუქ წონაში ვარდანიანმა (თბილისი) დაამარცხა სოკოლოვი (კურსკი). პირველ ქვესაშუალო წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ლისიცინმა (მოსკოვი), რომელმაც მოუგო შეხვედრა სტავროპოლელ მურავიოვს. მეორე ქვესაშუალო წონაში ერევნელმა პოღოსიანმა დაამარცხა ლობჟანიძე (სტავროპოლი).

შეჯიბრება გრძელდება...

ნ. ჯაფარიძე

ცდსა— „ფორვერტსი“

24 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი და „ფორვერტსი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

როგორც ცნობილია გერმანელმა ფეხბურთელებმა ჩვენს ქვეყანაში ჩაატარეს ორი მატჩი. მათ მოსკოვის „ტორპედოსთან“ წააგეს ანგარიშით 1:3, ხოლო თბილისის „დინამოსთან“ — 1:4.

არმიელ ფეხბურთელებთან „ფორვერტსმა“ განსაკუთრებით კარგად ითამაშა. 90 წუთის განმავლობაში მოედანზე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე არმიელი ვანზელის მიერ გატანილ იქნა სტუმრების კარში.

თამაში დამთავრდა ცდსა-ს გამარჯვებით, ანგარიშით 1:0.

«დინამო»—«ვიკინგი»

25 ივნისს მოსკოვში გაიმართა მორიგი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „დინამო“ და „ვიკინგი“ (დანია). ეს სტუმრების მესამე მატჩი იყო ჩვენს ქვეყანაში. პირველი შეხვედრა „ვიკინგმა“ წააგო ლენინგრადის „ზენიტთან“ — 0:2, ხოლო მეორე — კიევის „დინამოსთან“ — 1:7.

აღნიშნული შეხვედრა სტუმრებმა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს. ისინი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ძლიერ მეტოქეს და ხშირად უპირატესობაც ჰქონდათ.

ანგარიში გახსნეს დინამოელებმა, მაგრამ სტუმრებმა მალე გაათანაბრეს იგი. შემდგომში მოსკოველთა ცენტრალურმა მცველმა კრიჟევსკიმ მოწინააღმდეგის კარში გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და თამაში დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით — 2:1.

„სპარტაკის“ ჩემპიონი

ცხაკაიაში დამთავრდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ბორჯომის, ახალციხის, ქუთაისის, ცხაკაიას, ვანისა და თერჯოლის გუნდები.

ფინალური შეხვედრა გაიმართა ბორჯომისა და ცხაკაიას გუნდებს შორის. ანგარიშით 3:0 გამარჯვება მოიპოვეს ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

მეორე ადგილზე გამოვიდა ბორჯომის გუნდი, მესამეზე არიან თბილისის ფეხბურთელები.

მ. ბუბუნავა

დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის მოზარდ ფეხბურთელთა შეჯიბრება. უკანასკნელ ტურში აფხაზეთის ასსრ ფეხბურთელებმა ანგარიშით 7:2 დაამარცხეს აჭარის გუნდი. დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის ფეხბურთელთა შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ქუთაისელთა მინიმალური უპირატესობით — 1:0. დიდი ანგარიშით მოუგეს თბილისელებმა ხაშურის კოლექტივს. მათ 12 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში ისე, რომ თავისაში არც ერთი არ მიუღიათ.

ამრიგად, გათამაშება დამთავრდა. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა. აღსანიშნავია, რომ თბილისელები შეჯიბრებისათვის კარგად მოემზადნენ და მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს იგი. მათ ყველა შეხვედრაში მოიპოვეს გამარჯვება. გუნდის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კეკნაძე.

ქულათა თანაბარი რაოდენობა (7) დააგროვეს ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებმა. მათ შორის უპირატესობა მიენიჭათ ქუთაისელებს, რომელთაც ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ.

მეოთხე ადგილზე გამოვიდა სამხრეთ ოსეთის, ხოლო მეხუთეზე — ხაშურის გუნდი. გასულ წელს გამარჯვებული აჭარის გუნდი ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ძლიერ ცუდად მოემზადა, წააგო ყველა შეხვედრა და ბოლო ადგილზე გამოვიდა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გათამაშებაში გამარჯვებული თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ხელაძე, ივანოვი, გუდაძე, ჭანჭალეიშვილი, ხერგა, ჩინჩლაძე, მელაშვილი, გვიმრაძე, კაკაბაძე, [illegible], კერესელიძე.

ამინდის მოლოდინში

თელავში „გიგოს გორა“ ყველამ იცის. კარგად ახსოვთ თელაველებს აგრეთვე 1949 წელი, როდესაც ამ გორაზე შესანიშნავი ინიციატივა იქნა წამოწყებული. თელაველებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით საცურაო აუზის მოწყობა. ამ სასარგებლო საქმეს აბავინ აღუდგებოდა წინ. ადგილმდებარეობაც შესაფერი ჰქონდა მომავალ სპორტულ ბაზას.

დაიწყო მშენებლობა. ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდობა სიხარულით ასრულებდნენ ძნელ სამუშაოებს. ყველა საწარმოსა და დაწესებულებას თავისი წვლილი შეჰქონდა ამ კეთილშობილურ საქმეში. მალე შესრულდა მიწის სამუშაოები, ამოყვანილ იქნა რკინა-ბეტონისა და ქვიტკირის კედლები. თითქოს, ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ერთ მშვენიერ დღეს აუზის მშენებლობა შეწყდა. ამაოდ ჩაიარა გაწეულმა შრომამ. დროთა განმავლობაში ღორღით და ეკალ-ბარდებით დაიფარა აუზის ძირი, ჩამოინგრა რკინაბეტონის კედლები. უპატრონოდ მიტოვებული მშენებლობა მნახველს არქეოლოგიურ განათხარს აგონებს. (იხ. სურათი ზემოთ).

რატომ? იკითხავს მკითხველი. ამის მიზეზად დღეს თელავში სახსრების უქონლობას ასახელებენ. „არც ერთი კაპიკი არ ყოფილა გამოყოფილი მშენებლობისათვის, რაც ავაშენეთ, ყველაფერი საკუთარი ძალებით, მეტი აღარ შეგვიძლიაო“ — იმართლებენ თავს. ეს მიზეზი შეიძლება ნაწილობრივ მართალიც იყოს, მაგრამ ფაქტია რაიონის ხელმძღვანელობას ენთუზიაზმი არ ეყო და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მართალია რაიონის ხელმძღვანელობამ რამდენიმეჯერ მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს დასახმარებლად, მაგრამ ამ უკანასკნელმა დუმილით უპასუხა.

„დამნაშავე ამ საქმეში არავინ არ არისო“—აცხადებენ თელავში, როდესაც საკითხი აუზის მშენებლობას შეეხება. რა თქმა უნდა ეს განცხადება ზერელე და სიმართლეს მოკლებულია. თუმცა თელავში „ბოროტი ხმები“ დადის, თითქოს აუზის მშენებლობის ჩაშლაში რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს გ. სტეფანოვს „ცოდვები“ მიუძღოდეს.

ფიზკულტურის თელავის რაიონულ კომიტეტს აუზის საქმე დღესაც ნაკლებად აწუხებს. მისი მოუქნელი მუშაობის შედეგია, რომ რაიონში არ სრულდება თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების გეგმები, კომიტეტმა არ იცის 1953 წელს ვინ ჩააბარა მშო ნიშანზე, (ნიშნოსანთა სიები ვერ მოძებნეს!).

ახალ თავმჯდომარეს ა. მაისურაძეს, რომელიც უკვე კარგა ხანია ამ საქმეს განაგებს, ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულ თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მოსამზადებლად. მან ასე განაცხადა: ამინდი არ იყო, ახლა კარგი დარებია და მუშაობას დავიწყებთო.

თელაველ ძალოსნებს ერთ დროს საკუთარი სპორტდარბაზი ჰქონდათ, თუმცა მაშინაც ნაკლებად უვლიდნენ მას. 1952 წელს, რაღაც მიზეზის გამო ქალაქის საბჭომ ფიზკულტურულ კომიტეტს ჩამოართვა აღნიშნული დარბაზი და საქვაჭრობას გადასცა. ამ უკანასკნელმა დარბაზი საწყობად გადააკეთა. კრივის რინგთან და სხვადასხვა სპორტულ ინვენტართან ერთად დღეს აქ ფქვილით სავსე ტომრები და ტრიკოტაჟის სხვადასხვა ნაწარმი ინახება (იხ. სურათი ქვემოთ). თელაველ ძალოსნებს კი საწვრთნელი დარბაზი არ გაჩნიათ და სადაც მოხვდებათ იქ ვარჯიშობენ. უკვე სამი თვეა ქალაქის საბჭომ აღნიშნული დარბაზი ფიზკულტურის კომიტეტს უკან დაუბრუნა, მაგრამ დარბაზი დღესაც საწყობის მოვალეობას ასრულებს. თელავის საქვაჭრობის ხელმძღვანელობა თავის საწყობის გადასატანად ადგილს „ეძებს“.

სპორტული ბაზებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შემდეგ გასაკვირი არ იქნება, თუ თელავის რაიონში ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას ჩაშლა მოელის.

გ. გომართელი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.





„უკვდავი“ ამოცანა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა უცნობი ავტორის ამოცანა, რომელსაც მსოფლიოს პრესამ „უკვდავის“ სახელი შეარქვა.



თეთრები: მფc5, ლd8. ეa4, ეb4, კh5, მf5 პ-ბი: d3, f2, (8)

შავები: მფh7, ლf7, ეf3, კd1, კh2, მe2, პ-ბი: d5, e6, f6, g6 (10)

თეთრები აცხადებენ შამათს 9 სვლაში.

* * *

შეიძლება ამ ამოცანის გადაწყვეტამ ვერ დააკმაყოფილოს თანამედროვე ამომხსნელის ესთეტიკური გემოვნება, მაგრამ მეტად საინტერესოა როგორ სწირავენ თეთრები ყველა ფიგურას და როგორ აცხადებს შამათს დაფაზე დარჩენილი მხოლოდ ერთი პაიკი.

ამოცანის ამომხსნელთა გვარები გამოქვეყნდება გაზეთში.

ჩინელი კალათბურთელები ერევანში

(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან). ამას წინათ გაიმართა სომხეთისა და ჩინეთის ნაკრები კოლექტივების ამხანაგური შეხვედრა. შეჯიბრების დღეს ერევნის სტადიონზე ათი ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. მისასალმებელი სიტყვების და საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო ქალთა გუნდების შეხვედრა. თავდაპირველად წარმატებას მიაღწიეს ჩინელმა კალათბურთელებმა. მათ ანგარიშიც მიჰყავდათ, მაგრამ, შემდეგ ინიციატივა ერევნელთა მხარეს გადავიდა და პირველი ნახევრის დასასრულისათვის ანგარიში 32:23 იყო. მატჩის საბოლოო შედეგია 57:42 სომხეთის ნაკრების სასარგებლოდ.

საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. ერევნელმა მანუკიანმა და ალაჩაჩიანმა გახსნეს ანგარიში. პირველი ნახევრის მე-15 წუთზე ანგარიში ჩინელებს მიჰყავდათ — 19:14, მაგრამ შემდეგ ალაჩაჩიანის ზუსტი სროლების წყალობით ერევნის გუნდი დაწინაურდა. პირველი ნახევარი დამთავრდა სომხეთის ნაკრების სასარგებლოდ. შეხვედრის მეორე ნახევარში ერევნელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიში და მატჩი დამთავრდა (71:46) მათი გამარჯვებით.

ა. სარუხანიანი

სპორტის ექვს სახეობაში

დამთავრდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა მეოთხე ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 6 სახეობა: კალათბურთი, სროლა, ტანვარჯიში, ჭადრაკი, ფრენბურთი და მძლეოსნობა.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ საერთო პირველი ადგილი დაიკავა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სპორტსმენები.

გ. ყველაშვილი.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 23 ივნისის ნომერში დაბეჭდილ წერილში — „საერთაშორისო შეხვედრა“— პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „მეორე საერთაშორისო შეხვედრამ მიმდინარე სეზონში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს „ფორვერტსსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის“... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში

შვეიცარიის ქალაქების სტადიონებზე გრძელდება მსოფლიოს პირველობა ფეხბურთში. მეორე ქვეჯგუფის გუნდებს შორის თურქეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებმა დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა. მეოთხედფინალში გადასასვლელად მათ შორის მოეწყო დამატებითი შეხვედრა ციურიხში. გერმანიის ფეხბურთელთა უპირატესობა თურქეთზე აშკარა იყო უკვე პირველ ტაიმში, როცა მათ სამი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. თამაშის მეორე ნახევარში დასავლეთ გერმანიის გუნდმა გაზარდა ანგარიში და მოიგო შეხვედრა — 7:2.

მეოთხე ქვეჯგუფში ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა იტალიისა და შვეიცარიის გუნდებს შორის. მათი შეხვედრა გაიმარჯვა [illegible] შვეიცარიამ კვლავ [illegible] ორგზის ჩემპიონი. ანგარიშია — 4:1. გამარჯვებულმა მიიღო მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება.

გუშინ დაიწყო მეოთხედფინალური შეხვედრები. ბაზელში თამაშობდნენ ინგლისისა და ურუგვაის გუნდები. ლოზანაში—ავსტრია და შვეიცარია. დღეს ბერნში ერთმანეთს შეხვდებიან უნგრეთი-ბრაზილია, ხოლო ჟენევაში — იუგოსლავია-დასავლეთ გერმანია. ამ მატჩებში გამარჯვებულები გავლენ ნახევარფინალში.

◆

სსრ კავშირი-ამერიკა

დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. საბჭოთა მოჭადრაკეებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 20:12.

ბრწყინვალედ თამაშობდა გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი, რომელმაც მოიპოვა ოთხი გამარჯვება. ვ. სმისლოვისა და ს. რეშევსკის ოთხივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. პ. კერესმა ორი პარტია მოუგო პავეის, ერთი წააგო და ერთში დამარცხა სათადარიგო მოთამაშე დეიკი. წარუმატებლად გამოდიოდა ი. ავერბახი, რომელიც დ. ბირნთან (1:3) დამარცხდა. ახალგაზრდა გროსმაისტერმა ე. გელერმა და ტ. პეტროსიანმა თვითეულმა (3:1) მოუგეს მატჩი გოროვიცსა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ბისგაიერს. ა. კოტოვმა 2,5:1,5 დაამარცხა რ. ბირნი, ხოლო მ. ტაიმანოვმა წააგო შეხვედრა ევანსთან.

ავტომატი თამაშობს ჭადრაკს

XVIII საუკუნის დამლევს მსოფლიოში გავრცელდა ხმა, რომ არსებობს ისეთი მანქანა, რომელიც ჭადრაკს თამაშობს. „ტექნიკის ახალი საოცრებისადმი“ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მის გამომგონებელს მეფის სასახლეებშიც კი იწვევდნენ.

ავსტრიის დედოფალი მარია-ტერეზა, რომელიც არც თუ ისე ცუდად თამაშობდა ჭადრაკს, ავტომატის მიერ თვრამეტ სვლაში იქნა დამარცხებული. 1796 წელს ავტომატი რუსეთს ესტუმრა. თვითონ ეკატერინე მეორე არ ეთამაშა ავტომატს. ჭადრაკის მოყვარულებმა, რომლებიც დედოფლის ამალაში შედიოდნენ, მისი თანდასწრებით სასტიკი დამარცხება განიცადეს.

ავტომატი ესტუმრა ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა უდიდეს ქალაქს. მისი გამომგონებელი ზღაპრულად მდიდრდებოდა.

1809 წელს ავტომატით დაინტერესდა იმპერატორი ნაპოლეონი, რომელიც სხვათა შორის ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდა. შენბრუნის სასახლეში ნაპოლეონთან ავტომატი და მისი გამომგონებელი ბარონი დე ფონ კემპლენი მიიწვიეს.

დარბაზში შემოიტანეს საოცარი მანქანა. გარეგნულად იგი აზიურ ტანსაცმელში მდიდრულად გამოწყობილი ადამიანის ფიგურას წარმოადგენდა. იგი სპეციალურ სკამზე იჯდა პატარა კარადის წინ, რომელზედაც ჭადრაკის დაფა იდო.

— თქვენს წინაშეა, — წარმოთქვა ავტომატის გამომგონებელმა,— შესანიშნავი მანქანა — საჭადრაკო ავტომატი. სხვადასხვა მექანიზმის განსაკუთრებული ჰარმონიული შეხამებით ჩემი მანქანა ჭადრაკს უშეცდომოთ თამაშობს.

შემდეგ „გამომგონებელმა“ გახსნა კარადასთან მჯდომი ადამიანის ფიგურის მკერდი. გამოჩნდა საათის მექანიზმის მსგავსი რთული კონსტრუქცია. შემდეგ აჩვენა კარადის ერთი ყუთი, მერე—მეორე. მათშიც მექანიზმები იყო მოთავსებული. ყველაფერმა ამან დამსწრენი დაარწმუნა ავტომატის ტექნიკურ სირთულეში. ნაპოლეონმა თამაში ისურვა. გამომგონებელმა ვეებერთელა გასაღებით მომართა ავტომატი. დაიწყო ბრძოლა.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. თითქოს მაყურებელს ენა ჩაუვარდა განცვიფრებისგანო. ავტომატის შიგნიდან ისმოდა რიტმული მუშაობა, რომელიც საათის მუშაობას წააგავდა. გავიდა რამდენიმე წუთი. ავტომატის ხელი, რომელიც მანამდე გაუნძრევლად იდო ბალიშზე, პაიკს წვდა და გადაადგილა იგი საჭირო მიმართულებით. თამაში სწრაფად წარიმართა. იგი ჩქარა უპასუხებდა გაფითრებული მოწინააღმდეგის სვლებზე. ხოლო, როცა ავტომატმა „ქიში“ გამოაცხადა, მაყურებლებმა გაიგონეს, რაღაც „ქშ“ მაგვარი ჩურჩული.

ნაპოლეონის ყველა ცდა ამაო იყო — ავტომატი ულმობლად ამარცხებდა. სახელმოხვეჭილ სარდალს.

ავტომატის საიდუმლოება დიდხანს ამოუხსნელი იყო. მაგრამ, როგორც 1836 წელს ფრანგული ჟურნალი „პალამედი“ იუწყება: ავტომატის საიდუმლოება გახსნა ბავარიის პრინცმა. იგი იმდენად დაინტერესდა ავტომატით, რომ 30.000 ფრანკად შეიძინა.

ამის შემდეგ „გამომგონებელი“ იძულებული იყო პრინცისათვის აეხსნა ავტომატის საიდუმლოება. მან გახსნა კარადის ორივე კარი ერთად და გაოცებულმა პრინცმა აქ მექანიზმების ნაცვლად დაინახა ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც დაბალ, მოძრავ სკამზე იჯდა.

თამაშის წინ პატრონი ორივე [illegible] არ აღებდა, ამიტომ შიგ მყოფი [illegible] მიანიც არ ჩანდა. როცა თამაში იწყებოდა კაცი ავტომატთან მჯდომ ადამიანის ფიგურაში შეძვრებოდა და მის ხელებს ამოძრავებდა, სვლების გადაცემაც მარტივი წესით ხდებოდა: დაფის ყველა უჯრას ქვევიდან მიმაგრებული ჰქონდა ფირფიტები, როცა სვლას მოწინააღმდეგე აკეთებდა მაგნიტური ძალით (მაგნიტი თვითონ ფიგურას ჰქონდა) ფირფიტები ოდნავ ირხეოდნენ, რითაც კარადაში მჯდომი მოჭადრაკე ხვდებოდა თუ რა სვლა გააკეთა მოწინააღმდეგემ და ჯიბის ჭადრაკზე ამზადებდა საპასუხო სვლას.

შემდეგ ავტომატი შეიძინა გაქნილმა საქმოსანმა, რომელმაც მოიარა გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ამერიკა და სხვა ქვეყნები. ამერიკაში ავტომატი კონფისკებული იქნა. იგი ფილადელფიის საქალაქო მუზეუმში მოათავსეს, როგორც ტექნიკური თაღლითობის შესანიშნავი ნიმუში.

შემდეგაც იყო ასეთი ავტომატები ცნობილია, რომ 1878 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე მაყურებელთა ყურადღებას იზიდავდა ავტომატის საუცხოო კონსტრუქცია.

შ. ახვლედიანი

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04042